წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის

ოქმი#3

ქ. წალკა; 31.03.2023 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა – ირაკლი გიგინეიშვილი;

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 23 დეპუტატი: გოჩა ხაჩატურიან, ავთანდილ ვანაძე, რადიკ სარკისიან, ანტარამ მელტონიან, ნუგზარი ჩამურლიევი, მელიტონ პაკელიანი, ლევონ მარკოსიან, ზვიად გელაძე, ჯემალი ბერიძე, ჯაბა აბულაძე, მანანა გულედანი, სარკის ოგანესიან, იდა ბალაბანოვა, ალექსეი მუხსიევი, რუბენ ანესიან, მარინე ირემაძე, ჯემალ ნაკაიძე, ვუსალ უზუნლოვი, ლაერტ ტოროსიან, უშანგი ბოლქვაძე, ჯონი საბაძე, მალხაზ მგელაძე, მერაბ იაკობაძე, დიანა პაქსაძე, გურამ მგელაძე, ნოდარ ბერიძე, მამია ირემაძე, ასლან მგელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
ანზორ ხინიკაძე წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,
ფეოხარი პარასკევოვ წალკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე,
პალვე აფციაური წალკის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სხდომა დაიწყო: 11:00 სთ;
სხდომა დასრულდა: 11:45 სთ;

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურისთვის მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების შემდეგ ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ";

2. განკარგულების პროექტი „მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ";

3. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ";

4. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2023 წლის მარტის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს;
საკრებულოს ღიაკენჭისყრით (29 მომხრე, 0 წინააღმდეგი) ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურისთვის მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების შემდეგ ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ";

/მომხსენებელი: პალვე აფციაური წალკის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
თანამომხსენებლები: მელიტონ პაკელიანი საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ჯემალ ბერიძე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე/;

2. განკარგულების პროექტი „მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ";

/მომხსენებელი: ფეოხარი პარასკევოვ, მერის მოადგილე;
თანამომხსენებლები: ზვიად გელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს ლევონ მარკოსიან ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე, ჯემალ ბერიძე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე/;

3. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ";

/მომხსენებელი: ანზორ ხინიკაძე წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;
თანამომხსენებელი:ანტარამ მელტონიან სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯემალ ბერიძე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე/;

4. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2023 წლის მარტის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ";

/მომხსენებელი: ზვიად გელაძე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე/;

სხდომამ განიხილა:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურისთვის მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების შემდეგ

ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელმა: პ.აფციაურმა საკრებულოს გააცნო დადგენილების პროექტი;
თანამომხსენებლები: მ.პაკელიანმა საკრებულოს გააცნო სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე, ჯ.ბერიძემ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო-ს" დასკვნა დადგენილების პროექტზე;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

დადგენილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (27 მომხრე, 0 წინააღმდეგი), (დადგენილება #5 თან ერთვის);

2. განკარგულების პროექტი „მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ";

მომხსენებელმა: ფ.პარასკევოვმა საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი;
თანამომხსენებლები: ზ.გელაძემ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე, ლ.მარკოსიანმა საკრებულოს გააცნო ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე, ჯ.ბერიძემ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო-ს" დასკვნა განკარგულების პროექტზე;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

განკარგულება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (27 მომხრე, 0 წინააღმდეგი), (განკარგულება #გ-119.11923090001 თან ერთვის);

3. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელმა: ა.ხინიკაძემ საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი;
თანამომხსენებლები: ა.მელტონიანმა საკრებულოს გააცნო სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე, ჯ.ბერიძემ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო-ს" დასკვნა განკარგულების პროექტზე;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

განკარგულება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (27 მომხრე, 0 წინააღმდეგი), (განკარგულება #გ-119.119230902 თან ერთვის);

4. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2023 წლის მარტის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ"

/მომხსენებელი: ზ.გელაძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს გააცნო აღნიშნული განკარგულება;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

(27 მომხრე, 0 წინააღმდეგი) განკარგულება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით (განკარგულება #გ-119.119230903 თან ერთვის);

სხდომის თავმჯდომარე ი.გიგინეიშვილი

ი.გიგინეიშვილი